გარდაქმნის პერიოდიზაციისათვის მედიაში

ქეთევან მუმლაძე[1]

დოქტორანტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

აბსტრაქტი

თითქმის სამი ათეული წელიწადია, მიმდინარეობს გარდაქმნისა და საჯაროობის (Перестройка и Гласность) საბჭოთა იდეოლოგიური პროდუქტის შესწავლა, როგორც დასავლეთში, ისე - პოსტსაბჭოთა სივრცეში. საერთაშორისო დონეზე გლასნოსტი/საჯაროობა, პერესტროკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელი, განიხილება როგორც ცვლილებებისა და განვითარების ყველაზე თვალსაჩინო ეტაპი 1980-90-იანი წლების საბჭოთა ტრადიციების მქონე მედიაში. აღნიშნული პერიოდი დასავლელი მეცნიერებისა და მკვლევრების დიდი ყურადღების საგანი გახდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში საჯაროობის გამოვლინება დეკლარირებული გარდაქმნის პერიოდში არ არის სათანადოდ შესწავლილი, სისტემატიზებული და გამოკვლეული.

წინამდებარე სტატიის მიზანია, გლასნოსტის პერიოდის სპეციფიკის შესწავლისადმი მიძღვნილი აკადემიური წყაროების მიმოხილვაზე დაყრდნობით, მოახდინოს გარდაქმნის პერიოდის სისტემატიზაციისადმი მიდგომების კომპილაცია, როგორც ზოგადი, საბჭოთა მასშტაბით, ისე - ქართულ რეალობასთან შესაბამისად; გამოყოს ძირითადი ეტაპები, რომლებიც დაფიქსირდა ქართული მედიის განვითარებასა და მეტამორფოზაში 1985-დან 1990 წლამდე, ახალ სინამდვილემდე. პერესტროიკის სახელით ცნობილი პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაცია იმდენად არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა გეოპოლიტიკურ მოცემულობაში, რამდენადაც ეს დროითი დაყოფა უჩვენებს იმ პერიოდში მომხდარი სხვადასხვა მოვლენის გავლენას პერესტროიკის მიმდინარეობაზე - მისი აქცენტების ცვლილებებზე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების პერსპექტივიდან. ეს პერიოდიზაცია აგრეთვე დამოკიდებულია მკვლევრის პერსპექტივაზეც - რადგანაც პერესტროიკის მდგენელები და მათ შორის გლასნოსტი შეისწავლებოდა პოლიტიკისა და

[1] mumliko@hotmail.com

მედიის სხვადასხვა სკოლის მიერ სხვადასხვა წლებში ან უშუალოდ მისი მიმდინარეობისას, ან მისი დასრულებიდან ძალიან მალე, ან შედარებით მოგვიანებით - როცა უკვე საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა. ეს გარემოება მეცნიერული კონსტრუქტივიზმის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დისტანცია პროცესისგან ან მოვლენისგან დიდად განაპირობებს მისი მნიშვნელობას აღქმასაც და შექმნასაც.

Abstract

The Soviet ideological products of Perestroika and Glasnost have been studied in both the West and the post-Soviet space for almost three decades now. Internationally, Glasnost, as one of the key components of Perestroika, is considered the most vivid example of change and development in the traditional Soviet media of the 1980s-1990s, a period drawing the keen interest of Western scientists and researchers. Nonetheless, manifestations of Glasnost in the period of declared Perestroika in Georgia have yet to be duly studied, systematized, and researched.

This article seeks to put together—based on reviewing academic sources related to studying the specifics of the Glasnost period—systematization approaches applied to the Glasnost period, at both all-Soviet and local Georgian levels; to point out key phases in the development and transformation of the Georgian media from 1985 to 1990 marking new reality. Periodization of the political process known as Perestroika is important in a variety of political equations in that this chronological categorization shows the impact of various events from that period on the process of Perestroika, on focal shifts from the perspective of central and local authorities. This periodization also depends on the researcher's perspective, because Perestroika's constituents, including Glasnost, were studied by a diversity of political and media school in different years, or contemporaneously with Perestroika, or shortly after its end, or maybe even a little later, that is, after the collapse of the Soviet Union. This circumstance is of crucial importance in terms of constructivism, as the distance from processes or events largely defines how their meaning is perceived and established.

შესავალი

საინტერესოა საკუთრივ ტერმინის მნიშვნელობის განვითარება ორი საუკუნის განმავლობაში. „საჯაროობა“, როგორც პოლიტიკური დატვირთის მქონე ცნება, მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გაჩნდა რუსეთის იმპერიაში იმპერატორ ნიკოლოზ პირველის (მმართველობის წლები: 1825-1855) მეფობის პერიოდის ბოლოს და მეტად გააქტიურდა ალექსანდრე მეორეს (1855-1881) დროს, როდესაც დღის წესრიგში დადგა ბატონ-ყმობის გაუქმების საკითხი. ალექსანდრეს ეპოქაში შედარებით ლიბერალურმა ოფიციალურმა ელიტამ სცადა მოჩვენებითი საჯაროობის პრაქტიკა გაეაქტიურებინა იმპერიული ცენზურის პირობებში საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. საბჭოთა ლიდერები, ლენინი და სტალინიც იყენებდნენ გლასნოსტს გარკვეული მიზნებისათვის. ლენინს კომუნისტური საზოგადოების ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის თვითკრიტიკა, როგორც საჯაროობის ნაწილი, აუცილებლად მიაჩნდა. სტალინმა, თავის მხრივ, გლასნოსტის სული საჩვენებელი სასჯელების გასაშუქებლად გამოიყენა - „ხალხის მტერთა“ არაერთი საჯარო სასამართლო პროცესი გაიმართა სტალინური რეპრესიების მეორე ეტაპზე (1934-37). ხრუშჩოვი და ბრეჟნევიც ცდილობდნენ აღნიშნული პრინციპის ინტეგრირებას პოლიტიკურ იდეოლოგიაში და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ტერმინები „პერესტროიკა“ და „გლასნოტი“ სასურველი გახდა გორბაჩოვის რეფორმების ეპოქაშიც.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა, მიხეილ გორბაჩოვმა დასვა საკითხი საჯაროობის გაფართოების შესახებ პარტიულ, საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში. სკკპ ცკ 1985 წლის აპრილის პლენუმი კი ტრადიციულად გარდაქმნის პოლიტიკის გამოცხადების ათვლის წერტილად ითვლება. გორბაჩოვმა პარტიას ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური რეზერვების ამოქმედებისაკენ, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებისაკენ, ეკონომიკური რეფორმების დაჩქარებისაკენ - საყოველთაო გარდაქმნისაკენ მოუწოდა. საჯაროობა, ღიაობა, ინფორმაციის შეულამაზებლად, ცენზურის გარეშე გავრცელება გახდა სწორედ გარდაქმნის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი.

დეკლარირებული გარდაქმნის ეს პროცესი გააზრებული არ იყო. პარტიის მოწოდებებს არ მოჰყოლია მკაფიო ინსტრუქციები მედიისათვის. ცვლილებები მიდიოდა თვითდინებით,

კონკრეტული ჩარჩოებისა და კრიტერიუმების გარეშე. პერესტროიკამდე და მისი დეკლარირების საწყის ეტაპზე საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მედიაში არ მიმდინარეობდა მსჯელობა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე. ჭეშმარიტი ამბავი მხოლოდ ზეპირი გადმოცემით გადადიოდა და თვითმხილველების შემდგომ, სხვათა ნარატივში სახეცვლილებას მრავალგზის განიცდიდა. პოლიტიკური ცხოვრება, ფაქტობრივად, არც იყო. მოვლენები ვითარდებოდა გეგმიურად, უინტერესოდ. ურთიერთმიმართება ნარატივსა და ავტორის დამოკიდებულებას, ფაქტსა და მის ინტერპრეტაციას შორის მოგვიანებით შეიცვალა, როდესაც მედია შექმნილ მდგომარეობას პრაგმატულად მიუდგა და ვითარება ჯერ ცენტრალურ, საკავშირო მედიაში შეიცვალა, მოგვიანებით კი - პერიფერიებზეც. ცენტრალურმა მედიამ მაგალითი მისცა მოკავშირე რესპუბლიკებს. დაიწყო უმნიშვენლოვანესი პერიოდი: ცენზურის დასუსტება, მედიის გათავისუფლება, ისტორიის ხელახლა წაკითხვა.

ცვლილებები ეტაპობრივად განხორციელდა - მცირეოდენი დათბობიდან სინამდვილის სრულ მანიფესტირებამდე. ამიტომაც, საჯაროობა მედიაში გარდაქმნის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად იყო გამოხატული როგორც ცენტრში, ისე - ყოველ სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის - საქართველოში.

კვლევის დიზაინის სპეციფიკა

ვინაიდან სტატია კრიტიკულად აფასებს იმ აკადემიურ ნაშრომებს, რომლებიც შეისწავლიან პერესტროიკის არსს და მის ეტაპებს, პერესტროიკის თითოეული მდგენელის აქტუალიზაციის წინაპირობებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, თავიდანვე აღვნიშნო სტატიის მეთოდიკის სპეციფიკა. მეთოდი არის საბიბლიოთეკო კვლევა ყველაზე მეტად და ხშირად ციტირებული წყაროებისა, რათა დავადგინოთ ის მსგავსება და განსხვავება მეცნიერების ნააზრევში, რომლებიც ახდენდნენ პერესტროიკისა და გლასნოსტის პერიოდიზაციას და მეთოდოლოგიურ ალგორითმში გამოვყოთ ცალკეული ცნებები თუ კონსტრუქტები, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, იქცენენ გლასნოსტის პერიოდიზაციის განმაპირობებლად. სტატიაში ასევე გამოყენებულია ქართული სამეცნიერო წყაროები, რომლებიც იმავე საკითხს შეეხება.

გარდაქმნის პერიოდიზაცია სამეცნიერო ლიტერატურაში

სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია პერესტროიკის პერიოდის შემდეგი ძირითადი ტიპის პერიოდიზაცია:

1. გარდაქმნის პერიოდს ყოფენ ორ ეტაპად;
2. გარდაქმნის პერიოდს ყოფენ სამ ეტაპად;
3. გარდაქმნის პერიოდს ყოფენ ოთხ ეტაპად.

აღნიშნული სისტემატიზაციები ყველა თავისებურად მისაღები და ნიშნეულია, როგორც ზოგადი, ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რაკურსით, ასევე, უშუალოდ მედიის მეტამორფოზასთან მიმართებაში.

რუსი მეცნიერები ვიაზემსკი და ელისეევა (Вяземский, Елисеева, 2003) გარდაქმნის ორეტაპიან პერიოდიზაციას ემხრობიან. ისინი 1986-87 წლებს საჯაროობის პირველ ფაზად მიიჩნევენ, 1988-91 წლებს - მეორე ფაზად. მკვლევრები აცხადებენ, რომ მეორე ფაზაში დისკუსიას ისტორიული წარსულის შესახებ სოციალისტური სისტემის ღია გმობა ჩაენაცვლა, რაც მანამდე დაუშვებელი იყო. მეცნიერების შეფასებით, სწორედ ეს განასხვავებს ერთმანეთისაგან გარდაქმნის პირველი და მეორე ეტაპის მახასიათებლებს.

მაკნაირიც (McNair, 1989) ორეტაპიანი პერიოდიზაციის მომხრეა, თუმცა მისი დროითი ჩარჩო განსხვავებულია. ის გამოყოფს საჯაროობას 1990 წლამდე და შემდეგ, მეორე ეტაპს - 1990-91 წლებს. მისი მიდგომით, სოციალისტური პლურალიზმის კონცეპტი ჩანაცვლდა ლიბერალური პლურალიზმის კონცეპტით მეორე ფაზაში და გაიზარდა კრიტიკის სპონტანურობა. და თუ საჯაროობა უნდა ჩაითვალოს საბჭოთა პოლიტიკის ნაწილად, ის დასრულდა საბჭოთა კავშირის ნგრევასთან ერთად.

გარდაქმნის სამეტაპიან პერიოდიზაციას ემხრობა ბევრი რუსული წყარო და მეცნიერი. სწორედ **პირველ ეტაპზე** (1985-87), როდესაც გარდაქმნა „დაჩქარების“ ლოზუნგით მიმდინარეობდა, მოხდა წარმოების დაცემა, 1987 წელს კი - ჩერნობილის რეაქტორის კატასტროფა, რამაც რადიკალურად შეცვალა გარდაქმნის მიმდინარეობა. სწორედ ჩერნობილის ტრაგედიამ განაპირობა გარდაქმნის **მეორე ეტაპი** (1988-89), რომელიც მნიშვნელოვანი საჯაროობით იყო ნიშნეული და მიმდინარეობდა შესაბამისი ლოზუნგით -

„გარდაქმნა და საჯაროობა“. ამ ეტაპზე მოხდა საზოგადოების ფრაგმენტაცია კომუნისტებად და დემოკრატებად, გარდაქმნის პროცესი უმართავი გახდა, რესპუბლიკურმა ხელმძღვანელობებმა ცენტრალიზებული ვერტიკალიდან გასვლა დაიწყეს. **მესამე ეტაპზე** (1990-91), რეფორმების გაღრმავების დეკლარირების ფონზე, პროცესები უმართავი შეიქნა და მოიტანა კიდეც შედეგად შეუქცევადი კრიზისი და საბჭოთა კავშირის დაშლა.

ჯონ მიურეი (Murray, 1990) მედიის იმ მკვლევართა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც გლასნოსტის პროცესს სამ ეტაპად ყოფს: 1. 1985-88 - კომპარტიის აპრილის პლენუმზე გლასნოსტი ფორმალურად იქნა აღიარებული, 1988 წლის დასაწყისისათვის კი, ჟურნალისტებმა გააცნობიერეს, რომ გლასნოსტი კიდევ ერთი ცარიელი განცხადება არ იყო, რომელსაც მხარს უჭერდნენ გორბაჩოვი და პროგრესულად მოაზროვნე სხვა ლიდერები; 2. 1988-90 - პრესამ დაიწყო საკუთარი სიძლიერის შეგრძნება, გაქრა შიში კონსერვატიული ელემენტებისადმი პარტიაში, რომლებიც გამუდმებით გამოხატავდნენ საკუთარ უკმაყოფილებას გლასნოსტის დესტრუქციული ბუნებისადმი; 3. 1990 წლის აგვისტოში მესამე ფაზა დაიწყო, ძალაში შევიდა კანონი პრესის შესახებ. კანონმა პრესას მიანიჭა დაცულობა პარტიის ჩარევისაგან და გაუქმდა ცენზურა.

მიურეი აცხადებს, რომ გარდაქმნის პერიოდში საბჭოთა პრესის კონტენტში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. თუ 1985 წლამდე საბჭოთა პრესაში კომუნისტური პარტიის ენა დომინირებდა, შემდეგ ის მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა. ახალი კონტენტისა და ენის კომბინაციამ საბჭოთა ჟურნალისტიკა მთლიანად შეცვალა.

მიურეის აზრით, გლასნოსტის ადრეული ეტაპი შეიძლება აღვწეროთ, როგორც ჟურნალისტიკის მიერ მანამდე აკრძალული ტერიტორიების თანდათანობით დაპყრობა. გლასნოსტის საწყის ეტაპზე მკაფიო არ იყო, რა შედეგი მოჰყვებოდა გორბაჩოვის მიერ წახალისებულ პოლიტიკას მედიის თავისუფლების თვალსაზრისით. იმავდროულად, გორბაჩოვის გახშირებული შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან მიუთითებს, რომ ის ძალიან იყო დაინტერესებული კომუნიკაციით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. 1987 წლის დასასრულისათვის აშკარა გახდა აღქმა, რომ გლასნოსტი იყო მეტი, ვიდრე დროებითი ლიბერალური მოვლენა, რომელიც ახალმა გამოუცდელმა ლიდერმა დაუშვა.

მკვლევრის აზრით, გლასნოსტის მეორე ეტაპზე (1988-1990) მკითხველებმა და რედაქტორებმა დაინახეს, რომ განსხვავებული, ავანგარდული პრესა, მაგალითად, „ოგონიოკი“ (Огонек) და „მოსქოუ ნიუსი“ (Moscow News) არ დაიხურა და გადარჩა. და მიუხედავად იურიდიულად არამყარი პოზიციისა, ლენინის დროს დაწყებული პრესის იძულებითი კონფორმისტობა დასრულდა გლასნოსტის მეორე ეტაპზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა არაოფიციალური მედიაერთეულების, ე.წ. სამზიდატების (დისიდენტური საქმიანობის ფორმა საბჭოეთში) გამოცემა. ამ პერიოდისათვის განსხვავება ოფიციალურ და არაოფიციალურ პრესას შორის კვლავ დიდი იყო. მაგალითად, „სოვეტსკაია როსია“ (Советская Россия) 1988 წლისათვის იყო არა მხოლოდ კონსერვატიული გაზეთი, არამედ გაზეთი, რომელიც აქტიურად ეწეოდა რეტროგრადული იდეების, გლასნოსტის დასრულების პრომოციას.

მიურეის ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ ჯოზეფ გიბსისაგან განსხვავებით, მიურეისეული დაყოფა ნაკლებად არის ნიშნეული საკვანძო მომენტებით, მიურეის ფოკუსი უფრო ზოგადია, დაყოფა - ნაკლებად სტრუქტურირებული კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით.

გიბსის მიხედვით, როდესაც საქმე ეხებოდა მედიას, საჯაროობა არ ფუნქციონირებდა კონტროლის მექანიზმის განსაზღვრული სტანდარტებით, როგორც მაგალითად, მთავლიტი (Главлит [რუს.] - ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეების მთავარი სამმართველო, სახელმწიფო ცენზურის განმახორციელები ორგანო საბჭოთა კავშირში - ქ. მ.) აგიტპროპი (Агитпроп [რუს.] - კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება საბჭოთა კავშირში - ქ. მ.), რომლებიც უფრო სელექციურები იყვნენ საჯაროობასთან მიმართებაში მაშინ, როცა რედაქტორები თანდათან მეტ თავისუფლებას ანიჭებდნენ მედიის კონტენტს (Gibbs, 1999).

გიბსი საჯაროობის ოთხეტაპიან პერიოდიზაციას გვთავაზობს. მისი პოზიციით, ჩერნობილის კატასტროფა საეტაპო მოვლენა და რადიკალური ცვლილებების მომენტია. გიბსისეული ოთხსაფეხურიანი პერიოდიზაცია ქმნის კარგად სეგმენტირებულ, მკაფიოდ გამიჯნულ სურათს:

1. 1985 - საჯარო კრიტიკა საკმაოდ ხშირია, ქვეყნდება ნეგატიური მასალები და მონაცემები ცუდი მმართველობის შესახებ;
2. 1986 – 1987 შუა პერიოდი - საჯაროობა ფართოვდება, იწყება ისეთი ლიტერატურული მასალის გამოქვეყნება, რაც მანამდე აკრძალული იყო, რედაქტორებსა და გამომცემლებს თეორიულად მიეცათ უფრო მეტი დისკრეცია შინაარსთან დაკავშირებით; ჩერნობილის კატასტროფა და ალმა-ატის არეულობა საკვანძო მომენტები შეიქნა.
3. 1987 დასაწყისი - 1988 შუა პერიოდი - გორბაჩოვმა დესტალინიზაციის კამპანია გამოაცხადა. ტაბუირებული ისტორიული თემების არეალი ოფიციალურად გაფართოვდა, ნინა ანდრეევას მანიფესტი[2] ამ ეტაპის უმნიშვნელოვანესი სტიმული იყო.
4. 1988 წლის შუა პერიოდი, პარტიის მე-19 კონფერენცია -1990 - საჯაროობა, როგორც კომუნისტური პარტიის პოლიტიკა დადასტურდა თავისი განსაზღვრული ლიმიტებით; მთავლიტსა და აგიტპროპს ნიადაგი გამოეცალათ. გორბაჩოვის მიერ დეკლარირებული საჯაროობა, როგორც ლენინისტური კონცეპტი, ჩანაცვლდა.

ჩერნობილის რეაქტორის ავტოავარიას ბევრი მკვლევარი (იგივე გიბსი, ტეილორი, იანგი, ლაუნერი, სტივენსონი) მიიჩნევს გარდამტეხ მომენტად გარდაქმნისა და საჯაროობის განვითარებაში. ბირთვული რეაქტორის აფეთქება 1986 წლის აპრილში საჯაროობის ერთგვარი ტესტი იყო, კრიტიკული წერტილი, მნიშვნელოვანი შემობრუნება საბჭოთა რეჟიმისათვის. ჩერნობილის თემის მედიაგაშუქების განხილვის გარეშე წარმოუდგენელია საჯაროობის სრული სურათის დანახვა. მკვლევრების ნაწილი აცხადებს, რომ სწორედ ჩერნობილმა წარმოაჩინა გლასნოსტის ბუნების სიცარიელე. ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ჩერნობილმა კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა, უბიძგა რა გორბაჩოვსა და საბჭოთა ხელმძღვანელობას ძალისხმევისაკენ, ეღიარებინათ ცვლილებების აუცილებლობა.

ჩერნობილზე პასუხი თავდაპირველად ტრადიციული იყო - გაჩუმება. ხელისუფლების გადაწყვეტილების შესაბამისად, საბჭოთა მედია 4 მაისამდე დუმდა მაშინ, როცა

[2]«Не могу поступаться принципами» — 1988 წლის 13 მარტს გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“ ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პედაგოგის, ნინა ანდრეევას მიერ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც პარტიის კურსს აკრიტიკებდა.

დასავლურმა მედიამ უკვე 28 აპრილს შემოჰკრა განგაშის ზარი. თავად გორბაჩოვმა კი მხოლოდ 14 მაისს მიმართა საზოგადოებას პირდაპირი სატელევიზიო ეთერით, რაც, ასევე უპრეცედენტო მოვლენა იყო. დაიწყო ჩერნობილის ტრაგედიის ფაქტების გასაჯაროება.

მერილინ იანგი და მაიკლ ლოუნერიც (Young, Launer, 1991) აღნიშნავენ, რომ ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქებისა და თანმდევი შედეგების გაშუქება გახდა სწორედ საბჭოთა მედიისათვის წყალგამყოფი. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ჩერნობილის კატასტროფამ გააიოლა საბჭოთა სისტემის კრიტიკა. „კონცეპტუალურად, როგორც მინიმუმ, საჯაროობას არ უნდა ჰქონოდა შემხებლობა ისეთ საკითხთან, როგორიცაა ატომური ელექტროსადგურის აფეთქება უკრაინაში და არც იმას ისახავდა მიზნად, რომ განეხორციელებინა „დიადი მიზანი“ - მიეტანა სიმართლე ხალხამდე“ (სარედაქციო სტატია, Washington Post, 1986, გვ. 103). ამ კატასტროფამ უჩვენა ინფორმაციისა და ინფორმაციული პოლიტიკის ნამდვილი კრიზისი საბჭოეთში, როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით.

ბრეტ ტეილორი, რომელმაც ჟურნალ Soviet Life-ში[3] ჩერნობილის კატასტროფის გაშუქების საკითხი შეისწავლა, აღნიშნავს, რომ ჩერნობილის არსებული ინტერპრეტაცია, როგორც გლასნოსტის კრახი ან წარმატება, არის გამოწვევა, რომელიც ეფუძნება გლასნოსტის განახლებულ შეცნობას (Taylor, 2013). ტეილორი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა გლასნოსტი/საჯაროობა განსხვავდებოდა საჯაროობის ტრადიციული დასავლური გაგებისაგან. გორბაჩოვის განზრახვა სხვა იყო, დასავლეთის გაგება და მოლოდინი - სხვა. ტეილორის აზრით, საბჭოთა საჯაროობა იყო გორბაჩოვისეული რესტრუქტურიზაციის - პერესტროიკის ნაწილი, ზოგადი ნაბიჯი გამჭვირვალობისა და ლიბერალიზაციისაკენ მედიასისტემაში 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

ტეილორის მტკიცებით, Soviet Life-ის ანალიზი უჩვენებს, რომ ჟურნალის ნარატივი ჩერნობილის კატასტროფის შესახებ ოფიციალური ინტერპრეტაციის თანმხვედრი იყო. ჟურნალი ლოიალური იყო სახელისუფლებო ხაზისადმი.

[3] „Soviet Life“ (ინგლ.) - საბჭოთა კავშირში გამომავალი ინგლისურენოვანი ჟურნალი.

ტეილორი მიიჩნევს, რომ საბჭოთა მედიის მიერ ჩერნობილის კატასტროფის გაშუქება იყო მარცხი ან შემობრუნების წერტილი. საბჭოთა მედიამ ჩერნობილი გააშუქა იმგვარად, რაგვარადაც გლასნოსტი იყო ჩაფიქრებული - ნახევრად სიმართლედ.

პარალელური მიდგომების გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს მედიაში მიმდინარე გარდაქმნაც თეორიულად შეიძლება დავყოთ ორ, სამ ან ოთხ ეტაპად.

თუკი შევეცდებით, რომ საქართველოს მედიის გარდაქმნის ზედმიწევნითი სურათი მივიღოთ აღნიშნული პერიოდის მაქსიმალური დანაწევრება-გამიჯვნით, შეიძლება ვცადოთ, მაგალითად, ჯოზეფ გიბსის მიდგომის პარალელური სქემა ქართული მედიისათვის, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

1. 1985 - ქართულ მედიაში ეს ეტაპი არ ხასიათდება მნიშვნელოვანი ცვლილებებით; მედია მოლოდინის რეჟიმშია, საჯაროობა და გარდაქმნა, ძირითადად, ცენტრალური გაზეთებიდან გადმობეჭდილ ოფიციალურ ქრონიკებში დაიკვირვება;
2. 1986 – 1987 შუაპერიოდი - ქართული მედია იღვიძებს, დაარსდა ახალი გაზეთები;
3. 1987 დასაწყისი - 1988 ქართულ მედიაში დაიწყო მანამდე აკრძალული თემების გამოქვეყნება (ემიგრანტული ლიტერატურა, 1920-იანი და 30-იანი წლების რეპრესიები, სტალინიზმი და ა.შ.)
4. 1989 დასაწყისი - 1990 - ქართულ მედიაში ჩნდება ისეთი საკრალური თემები, როგორებიცაა: ეროვნული საკითხი, დამოუკიდებლობა. მკვიდრდება აზრის გამოხატვის თავისუფლება, საგაზეთო პოლემიკა ტრადიციად ყალიბდება. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია გარდამტეხი მომენტი ხდება მედიისათვისაც.

პარალელური პერიოდიზაციის მიხედვით, პირველი ორი ეტაპი განსაკუთრებით საინტერესო არ ყოფილა ქართული მედიის სინამდვილეში. უფრო მეტიც - ის თითქმის არ ყოფილა გამოხატული ქართულენოვან მედიაში საქართველოში.

მაშინ, როცა 1986 წლის შემდეგ ცენტრალურ საბჭოთა მედიაში მოვლენები დუღდა და უსწრაფესად ვითარდებოდა, მედია ადგილებზე მოლოდინის რეჟიმში იყო. განსაკუთრებული აქტიურობა ქართულ მედიასაც არ ეტყობოდა. ემპირიული მასალაც აღნიშნულს ადასტურებს.

ქართველი მკვლევარი, ხათუნა მაისაშვილი (2019) გვიანდელი გარდაქმნის პერიოდის დახასიათებისას მიუთითებს, რომ 80-იანი წლების ბოლოს ორი ტიპის პოლიტიკური ელიტის (ნომენკლატურული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი) გავლენით საქართველოს მედიასისტემაში გლანსოტის გაორებული კონტენტი წარმოიშვა: ე.წ. პრო- (ოფიციალური მედია) და ანტიგლასნოსტი (ახალი დამოუკიდებელი მედია). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედიის კონტენტშიც ერეოდნენ. მკვლევრის აზრით, გლასნოსტის შინაარსზე პასუხისმგებელი ნომენკლატურა საქართველოში გაუცხოებული, მოწყვეტილი იყო საზოგადოებას, განუმტკიცებელი ძალაუფლებაში და ამდენად, ვერ იქცა დამოუკიდებელ მოთამაშედ გარდაქმნის პროცესში, როგორც ეს, მაგალითად, რუსეთში მოხდა.

იგივე მაისაშვილი ავტორთა ჯგუფთან ერთად შესრულებულ მონოგრაფიაში „საქართველოს გლასნოსტური ისტორიები“ (2016), აღნიშნავს, რომ საჯაროობამ ფასეულობათა გადაფასება განაპირობა და რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი კონსერვატორებად და რეტროგრადებად დაიყო. საჯაროობის გავლენით საბჭოთა ცენტრალური გამოცემები ნახევრად ავტონომიურ ორგანოებად ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება მოლოდინებს, საჯაროობის მიმართ სხვადასხვა მოლოდინები არსებობდა და ისინი განსხვავებული იყო მმართველ ძალაში - პარტიულ ელიტაში, დასავლურ სამყაროში, საიდანაც ენთუზიაზმით შეჰყურებდნენ საბჭოთა კავშირში დეკლარირებულ რეფორმებს და ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში - ბალტიისპირეთსა და საქართველოში, სადაც დამოუკიდებლობის მოთხოვნა არსებობდა.

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები არ სჯერდებოდნენ გავლენას იმ მედიურ შინაარსზე, რომელიც მათ დაქვემდებარებაში მყოფ გამოცემებში იქმნებოდა. ისინი იჭრებოდნენ ნომენკლატურის მიერ კონტროლირებად გამოცემებშიც. ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ საქართველოში ჩანასახოვან მდგომარეობაში არსებობდა ლიბერალურ-დემოკრატიული ინტელიგენცია,” - წერს ავტორი და მიიჩნევს, რომ სწორედ 9 აპრილი გახდა წყალგამყოფი მედიის განვითარებაში და სრული საჯაროობა სწორედ 9 აპირილის ტრაგედიის შემდეგ დადგა (მაისაშვილი, ხ. და თანაავტ., „საქართველოს გლასნოსტური ისტორიები“, 104).

რადიოსა და ტელევიზიის მკვლევარი, ელდარ იბერი აღნიშნავს, რომ 1986-91 წლებში საქართველოს ტელევიზიამ სახე იცვალა და გაიარა მნიშვნელოვანი და რთული გზა ლიბერალური მედიისაკენ. მეცნიერი საქართველოს ტელევიზიის გარდაქმნას სამ ეტაპად ყოფს (იბერი, 2016):

1. 1986-89 წლის აპრილი;

2. 1989 წლის აპრილი - 1990 წლის ნოემბერი;

3. 1990-91 წლები.

ამასთან, სხვა მკვლევრების მსგავსად, ის მიიჩნევს, რომ „გარდაქმნამ საქართველოში გვიან ჩამოაღწია.“ 1986-88 წლებში ტელევიზია ძველი ინერციით მოძრაობდა და კვლავაც საბჭოთა ჟურნალისტიკის პრინციპებზე დაყრდნობით აპელირებდა, განსაკუთრებით, უკვე გაძლიერებული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან მიმართებაში. მკვლევრის პოზიციით, 9 აპრილის ტრაგედიის (1989) შემდეგ მოვლენათა დინება მნიშვნელოვნად შეიცვალა. როგორც იბერი აღნიშნავს, 9 აპრილმა გარდაქმნის მხარდამჭერებს შეახსენა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც იყო პოლიციური სახელმწიფო და მკაფიოდ უჩვენა იდეოლოგიური კრახი. აპრილის ტრაგედიამ დაასრულა ისტორიის ერთი, 70-წლიანი ეტაპი და დაიწყო ახალი - საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეტაპი.

ქართული ტელევიზიის მკვლევარი ნატო თათარაშვილი (2003) 1985-91 წლებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და თვლის, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურის რადიკალური ცვლილება, მათ შორის - მედიისაც. პროცესი ორმხრივი იყო - სახელმწიფომ ითამაშა უდიდესი როლი მედიის განვითარებაში, ხოლო მედიამ, თავის მხრივ ხელი შეუწყო სახელმწიფოს დემოკრატიზაციას. დემოკრატიზაცია და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა - სწორედ ეს იყო საქართველოს ტელევიზიის საკვანძო როლი გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველოში მოვლენები კატაკლიზმების ფონზე მიმდინარეობდა. თათარაშვილი ობიექტურად იზიარებს უცხოელ მკვლევრებში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ გარდაქმნა ცენტრში განვითარდა, პერიფერიები კი დიდხანს იყვნენ მოლოდინის რეჟიმში და ხაზს უსვამს, რომ 1989 წლის აპრილის ტრაგედიამდე საქართველოს ტელევიზიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ

მომხდარა: „1985 წლიდან 1989 წლის აპრილამდე საქართველოს ტელემაუწყებლობის სტრუქტურა ერთპარტიული პროპაგანდისტული ხასიათისაა“ (თათარაშვილი, ნ., 2003, 200). ჭეშმარიტი გარდატეხა დგება სწორედ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. სხვა მრავალი ცვლილების პარალელურად საქართველოს ტელევიზია სწორედ 9 აპრილის შემდეგ ააქტიურებს კომუნიკაციას აუდიტორიასთან, აღრმავებს დიალოგურობასა და უკუკავშირს მაყურებელთან. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სარედაქციო ფოსტის მოცულობაც და, შესაბამისად, გადაცემები, რომლებიც მაყურებელი-ტელევიზია-მაყურებლის კომუნიკაციურ ციკლებს ეყრდნობოდა. დაიწყო ტელევიზიის დეცენტრალიზაცია.

ზემოთქმულის შეჯერებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გარდაქმნის პერიოდიზაციის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მიდგომებთან ქართულ საჯაროობას ანათესავებს გარდამტეხი მომენტის - 9 აპრილის ტრაგედიის, როგორც წყალგამყოფის არსებობა. ამ მიდგომას ბევრი ქართველი მკვლევარი და ექსპერტი იზიარებს, მათ შორის - 1980-90-იან წლებში მოღვაწე პრაქტიკოსი ჟურნალისტები და მედიამენეჯერები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის ტრაგედიის მედიარეფრაქციის დიალექტიკა ძალზე ენათესავება ჩერნობილის კატასტროფისის ტორიას (ტრაგედია - დუმილი - ოფიციალური ვერსია - ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის - სიმართლე), ჩერნობილის ტრაგედიისაგან განსხვავებით, 9 აპრილის ტრაგედიის დამალვა შეუძლებელი იყო, თუნდაც ცოტა ხნით. თუმცა ჩერნობილის ტრაგედიის მსგავსად, დასაწყისში ვრცელდებოდა ტრაგედიის ორი პარალელური ვერსია - ხელისუფლებისა და სამხედროების მონათხრობი და მეორე - ჭეშმარიტად რეალური ისტორია. ოფიციალურმა ვერსიამ დიდხანს ვერ გასტანა და ჭეშმარიტება გამოვლინდა ხალხის საყოველთაოდ კონსოლიდირებული ნებით.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მედიაში ფიქსირდება ხილული ნეგატიური დამოკიდებულება/შეფასება გარდაქმნა-საჯაროობისა და მისი კოსმეტიკური ნიღბისადმი, მისი ორსახოვნებისადმი. 1989 წლის აპრილ-მაისში მედია და საზოგადოება იბრძოდა ჭეშმარიტების აღიარებისთვის დეტალებშიც კი. შედეგად შესაძლებელი გახდა ოფიციალური ვერსიის - თითქოს 9 აპრილის ღამეს ხალხმა და არა ჯარმა დახოცა ერთმანეთი - მხილება და გაცამტვერება. 9 აპრილის შემთხვევაში არ დაფიქსირებულა და ვერც დაფიქსირდებოდა ე.წ.

დუმილის ეტაპი, რადგან ეს შეუძლებელი იყო საზოგადოების ჩართულობის მაღალი ხარისხისა და იმ რეზონანსის წყალობით, რომელიც აპრილის აქციებს თან ახლდა.

ჩერნობილი სამი წლით უსწრებდა 9 აპრილს. სამი წლის მანძილზე კი მნიშვნელოვნად გააქტიურდა საზოგადოებაც და მედიაც. ამან შეუძლებელი გახადა დუმილიცა და ოფიციალური ვერსიის დამკვიდრების ყოველგვარი მცდელობა წარუმატებელად დასრულდა.

9 აპრილის სიმართლისათვის ბრძოლაში საპროგრამო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს გაზეთ „ქართული ფილმის“ მიერ კინოსტუდიის კოლექტივისა და გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის შეხვედრის სტენოგრამის გამოქვეყნება (სარედაქციო სტატია, „სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ“, „ქართული ფილმი“, 26.04.1989). შეხვედრა შედგა მას შემდეგ, რაც „ლენინსკოე ზნამიამ“ ოფიციალური, ცრუ ვერსია გამოაქვეყნა 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ.

რეალურად ეს იყო ჭიდილი სიმართლესა და სიცრუეს, ოფიციოზის პოზიციასა და რეალურად მომხდრს შორის: „ – აქ შეკრებილთ არავითარი დირექტივები არა გვაქვს, გამოვდივართ როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, თქვენ კი, იგრძნობა, რომ რაღაც დირექტივები გაქვთ. ჩვენ შევეცდებით ამ დირექტივების გარღვევას ყველა დონეზე... საქმე ისაა, რომ ჩვენი ცხოვრება სიცრუის გზით მიდის, იმ გზით,რომლითაც 1924 წელს სტალინმა აიღო ხელისუფლება. გარდაქმნა საფრთხეშია... როდესაც თქვენ გაზეთის იმ სიცრუით სავსე ნომერს უფასოდ ავრცელებდით სტუდენტებში, ეს პროვოკაცია იყო... იქვე ხომ ტანკები იდგნენ... ახლა ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია სიმართლის აღიარება. დაბეჭდეთ დღევანდელი შეხვედრის მართალი ანგარიში და არა ისე, როგორც უკვე ინებეთ“ (კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის გამოსვლიდან); „ - მე ვამტკიცებ, რომ გაზეთში სრული სიცრუეა. მიუხედავად ავტორის მტკიცებისა, რომ გაზი გამოყენებული არ ყოფილა, ხალხი მოწამლულია გაზით, აქვთ ჩეხილი ჭრილობები, მიყენებული მჭრელი საგნით, არა ხანჯლით“ (ექიმ გელა ლეჟავას გამოსვლიდან); „ - ყველამ უნდა გაიგოს, რომ შეიცვალა დრო და აღარავინ იქცევა სხვისი მითითებების მიხედვით... თქვენ დაწერეთ თავზარდამცემი სიცრუე და კიდევ ირონიულად იღიმებით“ (კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძის გამოსვლიდან). ასეთი იყო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მხილების პათოსი.

იგივე პათოსის მატარებელია „ქართულ ფილმსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია: „ვფიქრობთ, რომ იგი [9 აპრილს განვითარებული მოვლენები] მოფიქრებული პროვოკაციაა, მიმართული გარდაქმნის საფუძვლებისა და მიზნების დასათრგუნად“ (ავტორთა ჯგუფი, „სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს“, „ქართული ფილმი“, 19.04.1989); „ვინც 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, იმათ ადამიანურობის არაფერი ეცხოთ!.. საქართველოში ქრისტეს ტირილი იდგა, საკავშირო ხელისუფლების ზოგი ჩინოსანი კი ამ დროს ნიანგის ცრემლებს ღვრიდა! ეს რა დაგვემართა, გარდაქმნას ზურგიდან ჩასცეს მახვილიო!.. საბედნიეროდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხმა დღეს მთელ ქვეყანას კიდით კიდემდე მოედო“ (თამაზ წივწივაძე, „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!..“ „ლიტერატურული საქართველო“, 08.09.1989).

ამ პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციებში აქცენტირებულია არა მხოლოდ 9 აპრილის ტრაგედია, როგორც ფაქტი, არამედ 9 აპრილი, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, როგორც წყალგამყოფი, 9 აპრილი, როგორც კარტბლანში საბჭოთა სინამდვილის გასაკრიტიკებლად და შეკითხვების დასასმელად - ვინ აიღებს მომხდარზე პასუხისმგებლობას? რა იქნება შემდეგ?

9 აპრილის, როგორც ეტაპის მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ გარდაქმნის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ნეგატიური შეფასება 9 აპრილამდე არ ფიქსირდება ისეთ პოპულარულ და მრავალტირაჟიან გაზეთებში, როგორებიცაა, მაგალითად, „ლიტერატურული საქართველო“ და „ქართული ფილმი.“ მედიის მნიშვნელოვან თემატურ დივერსიფიცირებასთან ერთად ესეც შეიძლება ჩაითვალოს საჯაროობის საზომად: „ვითომ საჯაროობაო, ვითომ სიტყვის თავისუფლებაო, ვითომ პლურალიზმიო, ვითომ გახსნილი სეიფ-არქივებიო და კვლავაც იდუმალებით მოცული ორგანიზაცია, კვლავ დაუძლეველი შიში ვიღაცის და რაღაცის წინაშე, შიში დამაბეჩავებელი“ (დარეჯან შუშანაშვილი, „იდგეს!“, „ქართული ფილმი“, 19.09.1990); „დემოკრატიისა და საჯაროობის შესახებ ერთხელ კარგად თქვა აკაკი ბაქრაძემ: ჩვენ გვაძლევენ სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ამასთანავე მორჩილები უნდა ვიყოთო“ (ლია არჩვაძე, „პოზიცია“ [ინტერვიუ ელიზბარ ჯაველიძესთან], „ქართული ფილმი“, 06.12.1989); „…აგერ ახლა, როცა კომუნიზმი, ზოგი „ბრძენი“ ხელმძღვანელის

დაპირებით, კარგა ხნის აშენებული უნდა გვქონდეს, ქვეყანას არა აქვს პური, ყველი, კარაქი, შაქარი... ჩაცმა-დახურვას რომ თავი დავანებოთ, კომუნიზმის მშენებელი ხალხი საპნის, მარილისა და ასანთის გარეშე დავრჩით!...ამნაირი ქვეყნის აშენებას კი 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა...“ (თამაზ წივწივაძე, „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ! ახალი ციკლიდან: სალამი, მარქსისტებო!“ „ლიტერატურული საქართველო“, 26.01.1990).

როგორც მოხმობილი თვალსაჩინოებით ჩანს, საქართველოში გლასნოსტი ორ პერიოდად იყოფა: (1) 1989 წლის 9 აპრილამდე და (2) 9 აპრილის შემდეგ.

დასკვნა

დასკვნის სახით, ყველა წყაროს სპეციფიკის განზოგადებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლასნოსტის პერიოდიზაცია სხვადასხვა მკვლევრისთვის სხვადასხვა ბუნების კრიტერიუმებით ხდება. კერძოდ, მკვლევართა ნაწილისთვის გლასნოსტის პერიოდიზაცია დამოკიდებულია იმ ფაქტორზე, თუ რამდენად ივსება იდეოლოგიური შინაარსით ეს პოლიტიკური კამპანია, რომელიც, გასაგები იყო, რომ ცვლილებებსა და განვითარებაზე იყო მიმართული; ამ მიმართულების მკვლევრები სწავლობენ და აანალიზებენ ამ იდეოლოგიით შექმნილ მნიშვნელობებს და ამ მნიშვნელობებზე უკუკავშირს აუდიტორიის მხრიდან. მკვლევართა მეორე ჯგუფისთვის გლასნოსტის პერიოდიზაცია ეფუძნება კონკრეტულ რეზონანსულ ხდომილებაზე ხელისუფლებისა და საზოგადოების რეაქციას, ამ ხდომილებს მართვის კომუნიკაციურ სტრატეგიას და არსებულ თუ პოტენციურ კონფლიქტს გლასნოსტის დეკლარირებულ პრინციპებსა და დამკვიდრებულ პრაქტიკას შორის. ქართველი მკვლევრების უმრავლესობა მკვლევართა მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

თათარაშვილი, ნ. (2003). *„ტელეჟურნალისტიკის საკითხები“.* თსუ გამომცემლობა.

იბერი, ე. (2016). *„საქართველოს ტელევიზიის ისტორია.“* თსუ გამომცემლობა.

მაისაშვილი, ხ. და სხვ. (2017). *ქართული მედია – ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ჩანაცვლების ძირითადი უბანი. გლასნოსტის ქართული შემთხვევა. 1987-1990.* თბილისი. ხელნაწერის უფლებით; თსუ.

Bulsys, J. A., Makay, John J. *Gorbachev's Rhetoric of Glasnost: How Openness Intersects with Freedom of Expression,* Free Speech Yearbook. From http://dx.doi.org/10.1080/08997225.1989.10556093

Gibbs, J. (1999). *Gorbachev's Glasnost/The Soviet Media in the First Phase of Perestroika*. Texas University Press;

Grogin, R. C. (2000). *Natural Enemies: The United States and the Soviet Unions in the Cold War, 1917-1991.* Lexington Books;

Lampert, N. (1988). The Dilemmas of Glasnost', *Journal of Communication Studies*, 4:4, 48-63.From http://dx.doi.org/10.1080/13523278808414936

McNair, B. (1991). *Glasnost, Perestroika and the Soviet Media*. USA, Routledge;

McNair, B. (1989). *Glasnost and restructuring in the Soviet Media*. UK, Ulster;

Murray, J. (1991).*Glasnost 1990. IrishCommunicationReview*: Vol. 1: Iss. 1, Article 3. Available at: http://arrow.dit.ie/icr/vol1/iss1/3

Oates, S. (2014). *Demokratizatsiya;* Washington 22.2 277-293;

Powell, N. (2011). *The Effect of Glasnost on the Dissolution of the Soviet Union,* www.tcr.org, The concord Review;

Rakos, R. F. (1991) *Perestroika, Glasnost and International Cooperation, Behavior Analysis*, USA, Department of Psychology, Cleveland State University;

Tarasulo, I. J. (1990), *Gorbachev and Glasnost: Viewpoints from the Soviet Press.* Hardback;

Taylor, B. W. (2013), *Glasnost v. Glasnost': A re-evaluation and reinterpretation of the Chernobyl disaster in Soviet media,* Dalhausie Journal of InterdisciplinaryManagement Volume 9 – Spring 2013 djim.management.dal.ca, doi: 10.5931/djim.v9i1.3330

Бритвин, В. Г. & Караханян М. А. (1990) *Гласность: состояние, проблемы, перспективы (По данным социологических опросов)* URL: http://www.civisbook.ru/files/File/Britvin_1991_3.pdf